ინფორმაცია განრიდებისა და მედიაციის შესახებ

საქართველოს პროკურატურა

ინფორმაცია განრიდებისა და მედიაციის შესახებ

რა არის განრიდება/განრიდება და მედიაცია

განრიდება/განრიდება და მედიაცია კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნისა და 18-დან 21 წლამდე ასაკის პირისთვის არის ერთი შანსი, სასჯელისა და ნასამართლობის გარეშე, სუფთა ფურცლიდან განაგრძოს კანონმორჩილი ცხოვრება.

განრიდება სისხლისსამართლებრივი დევნის **ალტერნატიული მექანიზმია,** რაც ნიშნავს, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ნაცვლად, ნაკლებად მძიმე ან მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩამდენმა არასრულწლოვანმა/18-დან 21 წლამდე ასაკის პირმა, უნდა შეასრულოს გარკვეული ვალდებულებები, რომლებიც განრიდების ფარგლებში დაეკისრება.

დევნის ალტერნატიული მექანიზმის გამოყენება ხელს უწყობს კანონთან კონფლიქტში მყოფი პირის მართლშეგნების ამაღლებას, მის რეაბილიტაციასა და რესოციალიზაციას, ასევე, ითვალისწინებს დაზარალებულის ინტერესებს. განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩართვა ხელს უწყობს დანაშაულის ჩამდენ პირს, გაიაზროს დანაშაულის არსი, მისი უარყოფითი შედეგები და გააგრძელოს ცხოვრება ნასამართლობის და სასჯელის გარეშე. სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმის გამოყენება ამავდროულად, მიზნად ისახავს დანაშაულის პრევენციას და საზოგადოების უსაფრთხოებას.

სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმის გამოყენება გულისხმობს პირის ჩართვას განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში, რომელიც ეყრდნობა აღდგენითი მართლმსაჯულების პრინციპებს. აღდგენითი მართლმსაჯულების მიზანია დაეხმაროს დანაშაულის ჩამდენ პირს, გააცნობიეროს საკუთარი ქმედების შედეგები, გაუჩნდეს თანაგრძნობა დაზარალებულის მიმართ, აანაზღაუროს მიყენებული ზიანი და შეურიგდეს დაზარალებულს.

სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პროკურორი. კერძოდ, დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში პროკურორი იღებს გადაწყვეტილებას დანაშაულის ჩამდენი არასრულწლოვნის/18-დან 21 წლამდე ასაკის პირის მიმართ არ დაიწყოს ან შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა, განარიდოს იგი სისხლის სამართლის სისტემას და გამოიყენოს მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმი - განრიდება.

განრიდების პროგრამა პროკურორს აძლევს შესაძლებლობას არ დატოვოს დანაშაულის ფაქტი რეაგირების გარეშე და, ამავდროულად, მაქსიმალურად გაითვალისწინოს დაზარალებულის ინტერესი. იმ დანაშაულის საქმეზე, სადაც ზიანი მიადგა ფიზიკურ, იურიდიულ პირს ან სახელმწიფოს, განრიდებასთან ერთად შესაძლებელია გამოყენებული იქნეს მედიაცია.

რა არის განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის მიზნები

- არასრულწლოვნის/18-დან 21 წლამდე ასაკის პირის რესოციალიზაცია და რეაბილიტაცია;
- არასრულწლოვნის/18-დან 21 წლამდე ასაკის პირის მიერ განმეორებითი დანაშაულის ჩადენის პრევენცია და საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- დაზარალებულსა და განსარიდებელ პირს შორის კონფლიქტის ამოწურვა;

რა პრინციპებს ეფუძნება განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამა

სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმების გამოყენების მაქსიმალური ხელშეწყობა – არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, არასრულწლოვნის/18-დან 21 წლამდე ასაკის პირის მიერ ნაკლებად მძიმე ან მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს სისხლის სამართლის სისტემისაგან პირის განრიდებას, ვინაიდან რესოციალიზაცია-რეაბილიტაციისკენ მიმართული ღონისძიებები წარმოადგენს განმეორებითი დანაშაულის თავიდან აცილების ყველაზე ეფექტიან საშუალებას.

ნებაყოფლობითობა – განრიდებისა და მედიაციის პროცესში მონაწილეობა არის არასრულწლოვნის/18-დან 21 წლამდე ასაკის დანაშაულის ჩამდენი პირის ნებაყოფლობითი გადაწყვეტილება. განრიდებისა და მედიაციის პროცესში მონაწილეობის ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა დანაშაულის აღიარება. დაუშვებელია არასრულწლოვანზე/18-დან 21 წლამდე ასაკის პირზე ან დაზარალებულზე ზეგავლენა, მათი განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროცესში ჩართვის მიზნით. მხარეები უფლებამოსილი არიან ნებისმიერ ეტაპზე უარი განაცხადონ განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროცესში მონაწილეობაზე.

პროპორციულობა – არასრულწლოვნის/18-დან 21 წლამდე ასაკის პირისთვის დაკისრებული ვალდებულებები უნდა იყოს მის მიერ ჩადენილი ქმედების თანაზომიერი. განრიდების პირობების განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იყოს განსარიდებლის ასაკი და სხვა მახასიათებლები, ასევე, ჩადენილი დანაშაულის ხასიათი, სიმძიმე, მიყენებული ზიანი და დანაშაულის გავლენა საზოგადოებაზე.

კონფიდენციალურობა – განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროცესში მიღებული ნებისმიერი ინფორმაცია კონფიდენციალურია და დაუშვებელია მისი გამჟღავნება, თუ მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმდნენ, ან თუ კანონმდებლობით სხვა წესი არ არის განსაზღვრული. ასევე, კონფიდენციალურია ინფორმაცია არასრულწლოვნის/18-დან 21 წლამდე ასაკის პირის განრიდების შესახებ.

სტიგმატიზაციის დაუშვებლობა – გამოყენებული განრიდების ღონისძიება არ უნდა იწვევდეს პროგრამაში ჩართული არასრულწლოვნის/18-დან 21 წლამდე პირის მიმართ ნეგატიური დამოკიდებულების ჩამოყალიბებას, მის მოწყვეტას ნორმალური სასწავლო პროცესისგან და არ უნდა ახდენდეს განსაკუთრებულ ზეგავლენას მისი ცხოვრების ჩვეულ რიტმზე.

არასრულწლოვნის/18-დან 21 წლამდე ასაკის პირის საუკეთესო ინტერესის გათვალისწინება – პროკურორის გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს არასრულწლოვნის/18-დან 21 წლამდე ასაკის პირის საუკეთესო ინტერესს. განრიდების გადაწყვეტილების მიღებისას ფასდება, თუ რა პოზიტიური შედეგი ექნება განსარიდებელი პირის ჩართვას პროგრამაში და რამდენად მოახდენს ეს ახალი დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილებას.

რა არის განრიდების/განრიდებისა და მედიაციის გამოყენების წინაპირობები

არასრულწლოვნის/18-დან 21 წლამდე ასაკის პირის მიმართ განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის გამოყენება შესაძლებელია შემდეგი გარემოებების ერთობლივად არსებობისას:

- განსარიდებელი არის 14-დან 21 წლამდე ასაკის პირი;
- განსარიდებელმა პირმა ჩაიდინა ნაკლებად მძიმე კატეგორიის განზრახი დანაშაული, რომლისთვისაც გათვალისწინებული სასჯელი არ აღემატება 5 წლით თავისუფლების აღკვეთას ან მძიმე კატეგორიის განზრახი დანაშაული, რომლისთვისაც გათვალისწინებული სასჯელი არ აღემატება 10 წლით თავისუფლების აღკვეთას ან გაუფრთხილებელი დანაშაული;
- განსარიდებელი პირი წარსულში ჩართული არ ყოფილა განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში;
- განსარიდებელი პირი არ არის ნასამართლევი;
- განსარიდებელი პირი აღიარებს ჩადენილ დანაშაულს;
- განრიდების არსის განმარტების შემდეგ კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანი და მისი კანონიერი/საპროცესო წარმომადგენელი ან 18-დან 21 წლამდე ასაკის პირი, ნებაყოფლობით, წერილობით გამოხატავენ თანხმობას განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩართვაზე.

თუ კონკრეტული პირი აკმაყოფილებს ჩამოთვლილ კრიტერიუმებს, პროკურორი პირველ რიგში განიხილავს განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში მისი ჩართვის შესაძლებლობას. გადაწყვეტილების მიღებისას პროკურორი აფასებს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებასა და სასჯელის გამოყენებაზე უკეთ უზრუნველყოფს თუ არა განრიდება პირის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას და ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას.

პროკურორის მიერ განრიდებაზე უარის თქმის შემთხვევაში, არასრულწლოვანს, მის კანონიერ წარმომადგენელს ან ადვოკატს უფლება აქვს განრიდების მოთხოვნით მიმართოს ზემდგომ პროკურორს.

განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროცედურები და პროფესიონალთა უფლებამოსილება

პროკურორი

არასრულწლოვნის/18-დან 21 წლამდე პირის განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩართვის გადაწყვეტილებას პროკურორი იღებს მას შემდეგ, რაც იგი შეხვდება

განსარიდებელ პირს, მის კანონიერ/საპროცესო წარმომადგენელს, ადვოკატს (თუ განსარიდებელს ჰყავს ადვოკატი) და დაზარალებულს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

განსარიდებელ პირს, მის კანონიერ/საპროცესო წარმომადგენელს და ადვოკატს პროკურორი დეტალურად აცნობს განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის არსს, სავარაუდო პირობებს, შესაძლო შედეგებს და ისმენს მათ მოსაზრებებს დანაშაულის ჩამდენი პირის განრიდების პროგრამაში ჩართვასთან დაკავშირებით.

პროკურორი ასევე ხვდება დაზარალებულს, აწვდის ინფორმაციას განრიდების პროცესის შესაძლო დაწყების შესახებ და განუმარტავს ამ გადაწყვეტილების მიღების საფუძველს. ასევე, აწვდის ინფორმაციას პროცესში მედიატორის ჩართვის შესახებ, აძლევს ზოგად განმარტებას მედიაციის მნიშვნელობის, მედიატორის როლისა და ფუნქციების შესახებ. პროკურორი ისმენს დაზარალებულის პოზიციას არასრულწლოვნის/18-დან 21 წლამდე პირის განრიდებასთან დაკავშირებით.

განსარიდებელი პირის მიერ განრიდებაზე წერილობითი თანხმობის შემთხვევაში, პროკურორს გამოაქვს დადგენილება განრიდების პროცესის დაწყების შესახებ, რის შემდეგაც უკავშირდება დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოს. პროკურორის მიმართვის საფუძველზე საქმეში ერთვებიან სოციალური მუშაკი და მედიატორი.

სოციალური მუშაკი

იუსტიციის სამინისტროს სსიპ - დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს სოციალური მუშაკი, არასრულწლოვნის/18-დან 21 წლამდე პირის საუკეთესო ინტერესებზე მორგებული განრიდების ღონისძიებების განსაზღვრის მიზნით, ამზადებს განსარიდებელი პირის ინდივიდუალური შეფასების ანგარიშს. ანგარიშის მომზადების პროცესში, სოციალური მუშაკი სწავლობს მის სოციალურ გარემოს, უნარებსა და ინდივიდუალურ საჭიროებებს. ანგარიშზე მუშაობისას სოციალური მუშაკი იღებს დეტალურ ინფორმაციას განსარიდებელი პირის ჯანმრთელობის, ფსიქოლოგიური განვითარების, განათლებისა და სოციალური გარემოს შესახებ. ასევე, აფასებს განსარიდებელი პირის უნარებს, საჭიროებებსა და დანაშაულის ჩადენის რისკებს. საჭიროების შემთხვევაში, განსარიდებელ პირთან და მის ოჯახთან შეთანხმებით, სოციალურ მუშაკს შეუძლია შეფასების პროცესში ჩართოს სხვადასხვა დარგის პროფესიონალი (პედაგოგი, ფსიქოლოგი, ექიმი, ფსიქიატრი და სხვ.). სოციალური მუშაკის კომუნიკაცია განსარიდებელ პირთან, მისი ოჯახის წევრებთან და სოციალური გარემოს სხვა წარმომადგენლებთან მნიშვნელოვანია, რათა პროკურორის მიერ, სოციალურ მუშაკთან, ხოლო, მედიაციის შემთხვევაში მედიატორთან კონსულტაციით, ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის საფუძველზე, სწორად ჩამოყალიბდეს განრიდების/განრიდებისა და მედიაციის ხელშეკრულების პირობები, რომელთა შესრულებაც არასრულწლოვანს/18-დან 21 წლამდე ასაკის პირს მოუწევს. ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, სოციალური მუშაკი უზრუნველყოფს განსარიდებელი პირის ჩართვას იმ სარეაბილიტაციო აქტივობებში, რომლებიც პასუხობს მის ინდივიდუალურ საჭიროებებს, ემსახურება პიროვნულ ცვლილებებს, განვითარების შესაძლებლობასა და საზოგადოებაში პოზიტიურ ინტეგრაციას.

მედიატორი

თუ საქმეში არსებობს დაზარალებული, განრიდების გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, პროკურორის მიმართვის საფუძველზე, საქმეში ჩაერთვება ნეიტრალური პირი - მედიატორი, რომელიც არის იუსტიციის სამინისტროს დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს თანამშრომელი.

მედიატორი მხარეებს აწვდის დეტალურ ინფორმაციას მედიაციის არსის და პროცედურების შესახებ. მედიატორი წარმართავს დაზარალებულსა და განსარიდებელ პირს შორის მოლაპარაკების პროცესს, მხარეთა შორის კონფლიქტის ამოწურვის და ზიანის ანაზღაურების შესახებ შეთანხმების მიღწევის მიზნით.

როგორ განისაზღვრება განრიდების/განრიდებისა და მედიაციის ხელშეკრულების პირობები

სოციალური მუშაკი, განსარიდებელ პირთან და მის ოჯახის წევრებთან გასაუბრების შემდეგ ამზადებს ინდივიდუალური შეფასების ანგარიშს. შეფასების საფუძველზე, პროკურორი სოციალურ მუშაკთან, ხოლო, მედიაციის შემთხვევაში – მედიატორთან ერთად განსაზღვრავს განრიდების/განრიდებისა და მედიაციის ხელშეკრულების პირობებს. ხელშეკრულების პირობების ჩამოყალიბებისას გაითვალისწინება როგორც განსარიდებელი პირის, ისე, დაზარალებულის ინტერესები.

არასრულწლოვნის/18-დან 21 წლამდე ასაკის პირისათვის შერჩეული განრიდების პირობები უნდა იყოს ჩადენილი ქმედების პროპორციული. განრიდების პირობების განსაზღვრისას გაითვალისწინება განსარიდებლის ასაკი, უნარები, ჩადენილი დანაშაულის ხასიათი, სიმძიმე, მიყენებული ზიანი და დანაშაულის გავლენა საზოგადოებაზე. ასევე, მხედველობაში მიიღება განსარიდებელი პირის მიერ დანაშაულის გაცნობიერების ხარისხი და მისი ისეთი მახასიათებლები, როგორიც არის ალკოჰოლურ ან ნარკოტიკულ საშუალებებზე და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება, ძალადობრივი ქცევისკენ მიდრეკილება, დესტრუქციული ქცევები და სხვა.

განრიდების/განრიდებისა და მედიაციის ხელშეკრულება შესაძლებელია გაფორმდეს 12 თვემდე ვადით. ხელშეკრულების პირობად შესაძლოა განისაზღვროს საგანმანათლებლო ან ფსიქო-სარეაბილიტაციო პროგრამების გავლა. ამასთან, განრიდებული შეიძლება ჩაერთოს მოხალისეობრივ აქტივობებში, რაც დაეხმარება საზოგადოების სრულფასოვან და კანონმორჩილ წევრად ჩამოყალიბებაში. ხელშეკრულების პირობების შესრულება განსარიდებელ პირს ეხმარება გააცნობიეროს ჩადენილი დანაშაული, დაძლიოს სირთულეები და მავნე ჩვევები.

თუ არასრულწლოვნის/18-დან 21 წლამდე ასაკის პირის ქმედებით ზიანი მიადგა დაზარალებულს, მედიატორი განსარიდებელ პირთან და დაზარალებულთან კონსულტაციების დასრულების შემდეგ, დაზარალებულის თანხმობის შემთხვევაში, მართავს შეხვედრას - „მედიაციის კონფერენციას“, რა დროსაც დაზარალებული და განსარიდებელი პირი პირადად ხვდებიან ერთმანეთს. მედიაციის კონფერენციაში არასრულწლოვანი მონაწილეობს კანონიერ/საპროცესო წარმომადგენელთან ერთად. მედიაციის კონფერენციას შესაძლოა ესწრებოდნენ სოციალური მუშაკი და პროკურორი.

მედიაციის კონფერენცია ხელს უწყობს პროცესში დაზარალებულის აქტიურ ჩართულობას. დაზარალებულს ეძლევა შესაძლებლობა, უამბოს განსარიდებელ პირს, თუ რა განიცადა დანაშაულის ჩადენისას და რა გავლენა მოახდინა დანაშაულმა მასზე. ამავე შეხვედრაზე არასრულწლოვანი/18-დან 21 წლამდე ასაკის პირი საუბრობს მის მიერ დანაშაულის ჩადენის მიზეზებზე და დამოკიდებულებაზე თავისი ქმედების მიმართ.

მედიაციის კონფერენცია მნიშვნელოვან როლს ასრულებს განსარიდებელი პირის მიერ დანაშაულის გაცნობიერებასა და დაზარალებულის მიმართ თანაგრძნობის უნარის ჩამოყალიბებაში.

მედიაციის კონფერენციის დასრულების შემდეგ მასში მონაწილე ყველა პირი ხელს აწერს განრიდებისა და მედიაციის ხელშეკრულებას, რომელიც მოიცავს პროკურორის, სოციალური მუშაკისა და მედიატორის მიერ ერთობლივად განსაზღვრულ, განსარიდებელი პირის მიერ შესასრულებელ ვალდებულებებს.

იმ შემთხვევაში, თუ ჩადენილ დანაშაულს არ ჰყავს დაზარალებული ან თუ დაზარალებულმა უარი განაცხადა მედიაციის პროცესში მონაწილეობაზე, პროკურორი, სოციალური მუშაკის მიერ მომზადებული ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის საფუძველზე, ამზადებს განრიდების ხელშეკრულებას, რომელიც მოიცავს შესასრულებელ ვალდებულებებს. ასეთ შემთხვევაში, განრიდების ხელშეკრულებას ხელს აწერს განსარიდებელი (თუ განსარიდებელი არასრულწლოვანია, ასევე, მისი კანონიერი/საპროცესო წარმომადგენელი), პროკურორი და სოციალური მუშაკი.

რა შედეგი მოყვება განრიდების/განრიდებისა და მედიაციის ხელშეკრულების შესრულებას/შეუსრულებლობას

ხელშეკრულების მოქმედების დასრულებამდე არასრულწლოვანთან/18-დან 21 წლამდე ასაკის პირთან მუშაობას განაგრძობს სოციალური მუშაკი.

სოციალური მუშაკი პროკურორს ყოველთვიურად უგზავნის ინფორმაციას განრიდებული პირის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებით.

ხელშეკრულების საანგარიშო პერიოდის ბოლო თვეს სოციალური მუშაკი აფასებს განრიდებული პირის მიერ დანაშაულის გაცნობიერის საკითხს, განმეორებითი დანაშაულის ჩადენის რისკებს, განრიდებული პირის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებას და ამზადებს საბოლოო ანგარიშს, რასაც უგზავნის პროკურორს.

თუ განრიდებულმა პირმა შეასრულა ხელშეკრულების ყველა პირობა, გააცნობიერა დანაშაული და შემცირებულია მისი მხრიდან ახალი დანაშაულის ჩადენის რისკ(ებ)ი, პროკურორი საქმეზე მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას - შეწყვეტს გამოძიებას.

თუ განრიდებულმა არ გამოიყენა მისთვის მიცემული შანსი, განზრახ არ შეასრულა ხელშეკრულების პირობები, პროკურორი, განრიდებულის, მისი კანონიერი წარმომადგენლის და სოციალური მუშაკის მოსაზრებების მოსმენის შემდეგ, გააუქმებს ან ძალაში დატოვებს განრიდების გადაწყვეტილებას, შეცვლის განრიდების ღონისძიებას ან/და გააგრძელებს განრიდების ხელშეკრულების ვადას.

თუ პროკურორმა მიიღო განრიდების გაუქმების გადაწყვეტილება, ის შეწყვეტს განრიდების პროცესს და იმსჯელებს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ.

თუ განრიდებული ჩაიდენს ახალ დანაშაულს, პროკურორი იმსჯელებს განრიდების პროცესის შეწყვეტისა და მისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ.